Wheat plant, which satisfies 35% of the need of people for food and 20% of the need for calories, is subjected to adverse effects of biotic and abiotic factors. Photosynthesis effects on the product formation in wheat plants and it is very susceptible to environmental factors, especially to water deficiency. This process mainly occurs in leaves and other organs having chlorophyll, such as leaf sheath, peduncle, spike, etc. The photosynthetic intensity has been studied in other organs along with leaves and its role in the grain filling stage, especially under drought, has been emphasized. Physiological senescence and death of leaves due to various stress factors occur towards the end of vegetation resulting in higher activity in other plant organs.

The intensity of photosynthesis was studied during various phases, under optimal watering and water deficiency in wheat genotypes differing in morphophysiological traits using German URAS-2T infrared gas analyzer. For providing an optimal watering regime, the plants were watered 2-3 times and soil humidity was 65-70%. The watering was stopped to impose drought and soil humidity was about 35-63%. The early heading variety Azamatli 95 and late heading variety Gyrmyzy gul 1 were chosen for the study. The study was conducted with physiologically active leaves of the 7<sup>th</sup> and 8<sup>th</sup> layer, leaf sheath, peduncle, and spike. CO<sub>2</sub> assimilation by leaves was 63.0% in watered variants of the Azamatli 95 variety and 64.0% under drought, during initial phases. This parameter was, respectively, 45.8% and 35.9% in the wax ripening phase. The rest part of CO<sub>2</sub> was assimilated by leaf sheath, peduncle, and spike.

In the Gyrmyzy gul 1 variety, CO<sub>2</sub> assimilation during initial phases was 65.0% and 63.0%, whereas during the wax ripening phase it was equal to 45.7% and 32.9%, respectively. The activity increase was also observed in other organs compared to leaves towards the end of vegetation.

In both varieties, the amount of CO<sub>2</sub> assimilated by leaves was high in the earing, flowering and, grain filling phases, decreased towards the end of vegetation and the most amount was observed in plants exposed to water deficiency. Various vertical organs-leaf sheath, peduncle, and spike were found to play a special role during grain filling in wheat leaves. It was recommended to consider these traits in breeding new varieties.



**ხორბლის წარმოების გადიდება - ქვეყნის სასურსათო  
უსაფრთხოების მთავარი გარანტი  
ვ. ზეიკიძე, თ. ლაჭყეძიანი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში ხორბლის წარმოების თანამედროვე მდგომარეობა. აღნიშნულია რომ სამამულო წარმოების თანამედროვე დონე ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნებს, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ხორბალზე 2010 წლიდან 2018 წლის ჩათვლით 6-15 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. რაც ძალზე დაბალი მაჩვენებელია. ასევე მოტანილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სამომხმარებლო ფასები და შედარებულია საქართველოს მონაცემებს. ამასთან ერთად აღნიშნულია რომ ქვეყნის

აგრარული პოტენციალის გამოყენება უნდა მოხდეს ეტაპობრივად, რისთვისაც საჭიროა თანამშრომლობის გაღრმავება სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის.

ავტორთა აზრით უნდა შეიქმნას პროგრამა "ხორბალი", რომლის ფარგლებშიც უნდა დაფინანსდეს ყველა ღონისძიება, რომელიც ამ კულტურის წარმოებასა და სასურსათო ღირებულებას თანდათან აამაღლებს მოსახლეობაში და მნიშვნელოვნად გაიზრდება სამამულო ხორბლის სასურსათო დანიშნულებით გამოყენება.

## **INCREASING WHEAT PRODUCTION IN THE COUNTRY GROCERIES**

### **CHIEF SECURITY GUARANTOR**

**V. Zeikidze, T. Lachkepani**

Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

The article analyzes the current state of wheat production in Georgia. It is noted that the modern level of domestic production does not meet the requirements of the population of the country, the coefficient of self-sufficiency in wheat varies from 6-15 percent between 2010 and 2018. Which is a very low rate. Consumer prices in different countries of the world are also compared and compared to Georgia. It also notes that the country's agricultural potential should be exploited in a phased manner, which requires deeper cooperation between the public and private sectors.

According to the authors, the program "Wheat" should be established to finance all activities that gradually increase the production and nutritional value of this culture among the population and significantly increase the use of native wheat for food purposes.



**საქართველოში მომუშავე საზღვარგარეთული მარცვლის ამღები კომბაინების  
ძირითადი დეფექტები და მათი საექსპლუატაციო საიმედოობის მაჩვენებლების  
გამოკვლევა**

**ჯ. კაციტაძე**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს აგრარული  
უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

[chokhadari@yahoo.com](mailto:chokhadari@yahoo.com)

საქართველოში შემოტანილი საზღვარგარეთული მარცვლის ამღები კომბაინები, ყოფილ საბჭოთა კავშირში წარმოებული ტექნიკისაგან განსხვავებით, გამოირჩევიან ისეთი მნიშვნელოვანი უპირატესობებით, როგორიცაა კომფორტულობა, დახვეწილი დიზაინი, მაღალი საიმედოობა და მწარმოებლურობა, კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური სრულყოფა, დამზადების მაღალი ხარისხი და დეტალების მინიმალური ცვეთა ექსპლუატაციის დროს. საქართველოში მუშაობისას ისინი განიცდიან ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების მუდმივ გავლენას, როგორიცაა სამთო პირობები, რელიეფის

დახრილობა და ტალღოვანობა, ნიშანცვლადი დინამიკური დატვირთვები, მუშა გარემოში მყოფი აბრაზიული ნაწილაკები, მაღალი ნესტიანობა, მზის რადიაცია და სხვა. ყველა აღნიშნული ფაქტორები აუარესებს მუშაუნარიანობას და ამიტომ საჭიროა გამოკვლეული იქნას მათი საიმედოობის ერთეული და კომპლექსური მაჩვენებლები, რათა დაისახოს კონკრეტული ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ღონისძიებანი აღნიშნული ტექნიკის ეფექტიანობის გაზრდისათვის და ისეთი კვანძებისა და დეტალების დადგენისათვის, რომლებიც ყველაზე უფრო სუსტნი არიან საიმედოობის თვალსაზრისით.

სტატიაში შემუშავებულია უცხოეთიდან შემოტანილი მარცვლის ამდები კომბაინების „NIVA“, „MASSEY FERGUSON“, „CLAAS“, „SAMPO“ საექსპლუატაციო საიმედოობის ერთეული და კომპლექსური მაჩვენებლების შესახებ სტატისტიკური მასალის შეგროვებისა და მისი მათემატიკური დამუშავების ზოგადი და კერძო მეთოდები, რომლებიც რეალიზებულია მათი საქართველოს პირობების გათვალისწინებით. გამოვლენილია მათი დამახასიათებელი დეფექტები, მიღებულია ადეკვატური ალბათურ-სტატისტიკური მოდელები და დადგენილია საექსპლუატაციო საიმედოობის მაჩვენებლები

## **THE MAIN DEFECTS OF FOREIGN COMBINE HARVESTERS OPERATING IN GEORGIA AND THE STUDY OF THEIR PERFORMANCE RELIABILITY INDICATORS**

**Jemal Katsitadze**

Georgian Academy of Agricultural Sciences, Agrarian University of Georgia, Tbilisi, Georgia

E-mail: [chokhadari@yahoo.com](mailto:chokhadari@yahoo.com)

Foreign combine harvesters, in contrast to the analogue equipment produced in the former Soviet Union, are characterized by such virtues as comfort, pleasant design, high reliability and performance, technical perfection of structural elements, high quality workmanship and minimal wear of parts during operation. When working in Georgia, they are constantly influenced by such factors as mountain conditions, inclination and waviness of the relief, alternating dynamic loads, abrasive particles in the working environment, high humidity and others. All these factors worsen the performance of machines and it is necessary to investigate single and complex indicators of reliability in order to identify specific measures for the effective use of technology and to identify less reliable components and parts.

The article deals with the method of collecting and mathematical processing of information about reliability, which is implemented for combines „NIVA“, „MASSEY FERGUSON“, „CLAAS“, „SAMPO“, working in Georgia. Their main defects were revealed and operational reliability indicators were determined.



## **მახოხელი (Cephalaria syriaca) და მისი როლი პურცხოზაში**

**თ. კაჭარავა, თ. ეპიტაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

E-mail: [t.kacharava@gtu.ge](mailto:t.kacharava@gtu.ge); [n\\_epitashvili@yahoo.com](mailto:n_epitashvili@yahoo.com)

ეთნობოტანიკური უნარ-ჩვევების მოძიებისას აღმოჩნდა, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში აქტუალურია პურის ხარისხისა და გემოვნების გაუმჯობესებისათვის ძვირფასი დიეტური დანამატების გამოყენება. მათ შორის ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა მახოხელი


(*Cephalaria Syriaca*), რომელიც პურს ანიჭებს სპეციფიკურ მოლურჯო შეფერვას, სასიამოვნო სურნელსა და სირბილეს, ზრდის მისი შენახვის ხანგრძლივობას. მახობელში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებათა შორის ცილებისა და ნახშირწყლების შემცველობა შესაბამისად - 18,46% და 43,43%-ია, ხოლო ცხიმების რაოდენობა - 17,76%, ენერგეტიკული ღირებულება საკმაოდ მაღალია - 422 კკალ 100 გ პროდუქტში. პური გამომცხვარი პროპორციით 40% ტრიტიკალეს ფქვილი + 60% ხორბლის ფქვილი, რომელსაც დამატებული აქვს მახობელი, უკეთესი ორგანო-ლექტიკური მაჩვენებლებით, კვებითი ღირებულებითა და შენახვის ხანგრძლივობით ხასიათდება, ანუ მახობელი შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც ცომის რეოლოგიური, პურის თვისებების გასაუმჯობესებელი მცენარეული ნატურალური საშუალება, რომელიც ამავდროულად ზრდის პურის შენახვის ხანგრძლივობას ხარისხის შენარჩუნების ფონზე.

## CEPHALARIA (CEPHALARIA SYRIACA) AND ITS ROLE IN THE BREAD MAKING

**Tamar Kacharava, Tinatin Epitashvili**

Georgian Technical University, Tbilisi, Georgia  
t.kacharava@gtu.ge; n\_epitashvili@yahoo.com

Along with ethno botanical characteristics investigation, it has been identified that in some regions of Georgia it is very actual to use precious dietary additives for improving bread taste and quality. Among them interesting for us turned out *Cephalaria (Cephalaria syriaca)*, adding of which gives the bread specific bluish colour, softness and pleasant taste, and increases the duration of storage. Among the biologically active substances of cephalaria contents of protein and carbohydrate are 18.46% and 43.43%, and the fat content is 17.76%, energy value is quite high - 422 kcal 100 g. Bread baked in proportion of 40% triticale flour + 60% wheat flour, with added cephalaria gives better organoleptic indicators, nutritional value and characterized by the duration of storage, i.e. cephalaria can be used as a natural herbal means for improving the dough rheological and bread's properties, which at the same time increases the duration of storage bread on the background of quality preservation.



## ხორბლის წარმოების პრობლემები საქართველოში

**თ. კუნჭულია**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, საქართველო

საქართველო, ვაზთან ერთად, ხორბლის სამშობლოდაა აღიარებული. მისი უძველესი ჯიშები- მახა, ზანდური, დოლის პური და სხვა გამოირჩევიან მავნებლებისა და დაავადებებისადმი გამძლეობით, პურის ცხობის მაღალი თვისებებით. რაც მთავარია, ქართული ხორბლის უძველესი ჯიშები საუკეთესო სასელექციო მასალას წარმოადგენენ.

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საქართველო ხორბალზე მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. ბოლო წლების მონაცემებით, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 8-18 %-ის ფარგლებში მერყეობდა და საქართველოში, სადაც სასურსათო ხორბალზე მოთხოვნილება 650-700 ათას ტონას შეადგენს, შეინიშნება ნათესების შემცირების ტენდენცია, რაც დარგისადმი უწყურადღებობით შეიძლება აიხსნას.

დღევანდელ საქართველოში მოუგვარებელია ხორბლის თესლის წარმოება, არასაკმარისია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ძვირია მინერალური სასუქები, არ ინერგება მოწინავე ტექნოლოგიები, მაშინ, როცა სპეციალისტების გათვლებით, საქართველოში შესაძლებელია სასურსათო ხორბალზე მოთხოვნილების 60-65 %-ით დაკმაყოფილება. ამისათვის საჭიროა ხორბლის ნათესები გაიზარდოს 110-120 ათას ჰექტარამდე, ხოლო მოსავლიანობამ 1 ჰექტარზე 3 ტონამდე მიაღწიოს, რაც დღევანდელ პირობებში სულაც არ არის ძნელად მისაღწევი.

ყველაფერი უნდა დაიწყოს ხორბლის შესყიდვით სერთიფიცირებული საწყობის მიერ, რომელიც დაკავშირებული იქნება მეხორბლეთა კოოპერატივში გაერთიანებულ მეწარმეებთან და კომეციულ ბანკთან.

სერთიფიცირებული საწყობების მოვალეობაა კოოპერატივებისაგან მარცვლის შესყიდვა ან შენახვა. კომერციულ ბანკში ინახება საწყობთან ხელშეკრულებით დაკავშირებული მეწარმეების საბანკო ანგარიშები. სერთიფიცირებული საწყობი პერიოდულად აწვდის ბანკს ინფორმაციას მასთან ჩაბარებული ხორბლის რაოდენობისა და ღირებულების შესახებ. ხორბლის მეწარმე ატყობინებს ბანკს სესხის აღების თაობაზე. ბანკი გასცემს სესხს შენახული ხორბლის ღირებულების 60%-ის ოდენობით და ატყობინებს კლიენტს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ხორბალი, ისტორია, წარმოება, სერთიფიცირებული საწყობი

## PROBLEMS OF WHEAT PRODUCTION IN GEORGIA

**Tamaz Kunchulia**

Georgian Academy of Agricultural Sciences, Tbilisi, Georgia

Together with vine, Georgia is acknowledged as an original country of wheat. Its ancient species – Makha, Zanduli, Doli Bread and others are characterized with high resistance to pests and diseases and qualities for high quality bread baking. Most importantly the ancient species of Georgian wheat represent the best selection material.

During long period of time, Georgia could not meet demand for wheat. Based on recent years' data, coefficient of self-sufficiency fluctuated between 8-18%. In Georgia, where the demand is around 650-700 thousand tons of wheat, the trend of decreasing wheat plantations can be observed and this can be explained by the lack of attention to the sector,

In the current Georgia, the problem of wheat seed production is not addressed, relevant agricultural equipment is lacking, mineral fertilizer is expensive, and new technologies are not introduced. This happens in the condition when according to the specialists' calculations Georgia can meet 60-65% of wheat demand. For this the plantations should increase up to 110-120 thousand hectares and the yield per ha should reach 3 tons, that is not difficult to achieve in the current conditions of Georgia.

Everything should start by purchasing of wheat by certified warehouse that will be linked with wheat producers' cooperative and commercial bank.

Responsibility of certified warehouse is buying of wheat seed from cooperatives and storing it. The commercial banks keep bank accounts of producers that are linked with warehouse. The certified warehouse regularly informs bank on the amounts and prices of stored wheat. Wheat producer addresses the bank for loan and the bank approves loan in the amount of 60% of stored wheat and informs the client.

**Key words:** wheat, history, production, certified warehouse.



**ფართო ბაზო -კვლების გამოყენება ხორბლის მარცვლის ინტენსიურ  
წარმოებასა და სელექციაში**

**კ. ლაშხი, ი. რეხვიაშვილი, ზ. იჩქითი**  
„ფირმა ლომთაგორა“, მარნეული, საქართველო

ფართო ბაზოკვლების გამოყენება ხორბლის ინტენსიური მოვლა-მოყვანის თანამედროვე წარმოებაში „ახალი ინოვაციური“ ტექნოლოგიაა, რომლის დანერგვაც გულისხმობს: სათესლე მასალის თესვის ნორმის შემცირებას 20%-ით, სარწყავი წყლის ეკონომიას 30-40 %-ით, იძლევა მცენარის მოვლის მუდმივ (ტოტალურ ) შესაძლებლობას მთელი ვეგეტაციის პერიოდში, მისი დაზიანების გარეშე; მარცვლის საშუალო მოსავლიანობის და ხარისხის გაზრდის ხარჯზე, მინიმუმ, ქვეყნის სასურსათო ხორბალზე მოთხოვნილების 60-70 %-ით თვითუზრუნველყოფას, უახლოეს პერიოდში.

**APPLICATION OF EXTENSIVE USING RIDGE AND FURROW IN INTENSIVE  
PRODUCTION AND SELECTION OF WHEAT GRAINS.**

**Kakha Lashkhi, Irakli Rekhviashvili, Zaza Ichkiti**  
„Firm Lomtagora“, Marneuli, Georgia

The use of extensive using ridge and furrow in wheat intensive production in modern production is a new innovative technology, which includes: 20% reduction in seed sowing norm, 30-40% of irrigation savings, permanent( complete) possibility of taking care of the plant, throughout the vegetation period, without damaging it at the expense of increased medium productivity and quality, ensuring at least 60-70% of the country's being self-sufficient on its food needs in the near future.



**საკვები ელემენტების ბიოლოგიური შთანთქმის ინტენსივობა ხორბლის  
კულტურის მიერ გარე-კახეთის შავმიწა ჩვეულებრივ და ქვემო ქართლის  
რუხ-ყავისფერ ნიადაგებზე**

**რ. ლოლიშვილი**  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, საქართველო,  
E-mail: rezo.lolishvili@gmail.com



განსხვავებული ტიპის და ნაყოფიერების ნიადაგებზე საკვები ელემენტები მცენარის მიერ განსხვავებული ინტენსივობით შთანთქმდება. ელემენტების დაგროვება, როგორც მთელ მცენარეში, ასევე მის ცალკეულ ბლოკებში, მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი საშუალო შემცველობისაგან ნიადაგში. საკვები ელემენტების ბიოლოგიური შთანთქმის კოეფიციენტების ანალიზი მეტყველებს იმაზე, რომ ხორბალი ინტენსიურად შთანთქმავს და ძლიერ აგროვებს თავის ორგანოებში მხოლოდ აზოტსა და ფოსფორს  $KN>1$ -ზე. ელემენტები ენერგიულად გროვდება მხოლოდ მარცვალში  $KN>10$ -ზე. ხორბლის მთელ მცენარეში სუსტად გროვდება კალიუმი, კალციუმი, ნატრიუმი და მანგანუმი, სუსტად შეიზოჟება მაგნიუმი და სილიციუმი, ძალზე სუსტად შეიზოჟება რკინა და ალუმინი. ხორბლის ყველა ორგანოს მიერ ყველაზე დაბალი ინტენსივობით შთანთქმდება რკინა და ალუმინი, მიუხედავად იმისა, რომ ნიადაგწარმოქმნელ ქანში და თავად ნიადაგში ისინი დანარჩენ ელემენტებთან შედარებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. ხორბლის ქიმიური ელემენტების ბიოლოგიური შთანთქმის კლებადობის რიგი მთელი მცენარის შემთხვევაში ასე გამოიყურება:  $N>P>K>Ca>Na>Mn>Mg>Si>Fe>Al$ . მიუხედავად იმისა, რომ ხორბლის შედგენილობა განსხვავებულია ნიადაგური ტიპის მიხედვით, ის უპირველესყოვლისა შთანთქმავს და თავის ორგანოებში აგროვებს ნიადაგში მცირე რაოდენობით არსებულ დეფიციტურ ელემენტებს, აქტიურ წყლიერ მიგრანტებს, რომლებიც ადვილად გაიტანება აგროცენოზის ფარგლებს გარეთ, მაგრამ აუცილებელია მცენარის ცილოვანი და სხვა ნივთიერების შენებისათვის. ჩვეულებრივ შავმიწაზე ფოსფორის შთანთქმის ინტენსივობა (მთელი მცენარის მიხედვით) 5,3-12,3-14,3-34,8-ჯერ აღემატება ძლიერი კათიონების კალიუმის, კალციუმის, ნატრიუმის და მაგნიუმის შთანთქმის ინტენსივობას. რუხ-ყავისფერ ნიადაგზე კი ფოსფორის და გოგირდის ანიონების შთანთქმის ინტენსივობა 7,2-7,4-ჯერ მაღალია მაგნიუმისა და კალციუმის შთანთქმის ინტენსივობაზე. ინერტული ელემენტები და აქტიური მიგრანტები, რომლებიც წარმოადგენენ სუსტ კათიონებს ან ანიონებს (Al, Fe, Si) სუსტად შთანთქმდება მცენარის მიერ. ჩვენი კვლევის შედეგებით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ მცენარეებს გააჩნიათ ქიმიური ელემენტების შთანთქმის არჩევითი უნარი.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოთხოვნილებები დეფიციტურ საკვებ ელემენტებზე და მოხდეს მცენარისა და მისი საარსებო გარემოს შეფასება.

**საკვანძო სიტყვები:** ხორბალი, ნიადაგი, ბიოლოგიური შთანთქმა, ინტენსივობა, კოეფიციენტები.

## INTENSITY OF NUTRITION ELEMENTS BIOLOGICAL ABSORPTION BY WHEAT UNDER THE ORDINARY CHERNOZEM SOIL IN GARE KAKHETI AND GREY-BROWN SOILS IN KVEMO KARTLI

**Revaz Lolishvili**

Georgian Academy of Agricultural Sciences, Tbilisi, Georgia

E-mail: rezo.lolishvili@gmail.com



Plants of different intensity absorb nutrients on different types of soil and fertility. Accumulation of elements in the whole plant as well as in its separate blocks differs significantly from their average content in the soil. Analysis of the biological absorption coefficients of nutrients indicates that wheat intensely absorption and strongly acumulate in its organs only nitrogen and phosphorus at  $K_b > 1$ . Elements has energetically collected only in grains at the  $K_b > 10$ . Potassium, calcium, sodium, and manganese in the whole plant of wheat has weakly accumulated, magnesium and silicon has weakly bind and iron and aluminum has very weakly bind. Iron and aluminum are weakly absorbed by all organs of wheat, even though that in the soil-forming rocks and in the soil they are presented in a large number as compared to the other elements. descending line of absorption of the chemical elements in the whole plant of wheat is as following:  $N > P > K > Ca > Na > Mn > Mg > Si > Fe > Al$ . Despite of that composition of wheat is depend on the soil type, it is primarily absorb and accumulates deficient elements containing in the soil in a small amount, active water migrants that has easily taking out outside the agrocenosis, but it is necessary for creation plant proteins and other substances. The intensity of the phosphorus absorption (in the whole plant) on the ordinary chernozem soil is 5,3-12,3-14,3-34.8 times greater than the absorption intensity of strong cations of potassium, calcium, sodium and magnesium. Intensity of adsorption of phosphorus and sulfur anions is 7,2-7,4 times higher on the grey-brown soils than absorption intensity of magnesium and calcium. Inert elements and active migrants that are weak cations or anions (Al, Fe, Si) are weakly absorbed by the plant. Rresults of our research have once more again confirmed that plants has selective ability to absorb chemical elements.

Based on the conducted research it is possible to determine the needs of agricultural crops to the deficientive nutrients and make an evaluation of plant and its habitat environment.

**Keywords:** wheat, soil, biological absorption, intensity, coefficients.



## БИОЛОГИЧЕСКАЯ ЗАЩИТА ПШЕНИЦЫ В АЗЕРБАЙДЖАНЕ

**З.М.Мамедов, Н.Б.Мирзоева**

Институт зоологии НАН Азербайджана, г. Баку, Азербайджан

E-mail: [z.mammadov37@mail.ru](mailto:z.mammadov37@mail.ru)

В повышении урожайности сельскохозяйственных растений, наряду с повышением культуры земледелия, большое значение имеет планомерная организация мер борьбы с вредителями и болезнями растений.

В Азербайджане, как взрослые жуки, так и их личинки, повреждая яровую и озимую пшеницу, значительно снижают их урожайность. Одна взрослая форма вредителя в период своей жизни может уничтожить 7-8 г. пшеницы. Из этого расчёта при плотности 50 жуков в 1 кв. м. посевы с урожайностью 40 ц/га полностью уничтожаются.

В Азербайджане, особенно в районах Губа-Хачмасской зоны, хлебные жуки пшеницы являются одним из наиболее серьёзных вредителей зерновых культур.

## BIOLOGICAL PROTECTION OF WHEAT IN AZERBAIJAN

**Z.M. Mammadov, N.B. Mirzoeva**

Institute of Zoology, National Academy of Sciences of Azerbaijan, Baku, Azerbaijan

E-mail: [z.mammadov37@mail.ru](mailto:z.mammadov37@mail.ru)

The research was carried out during 2007-2016 on the grain plants biocenoses of the Ganya-Gazakh region. As a result of which 34 species of beetles (Coleoptera) belonging to the fauna of Azerbaijan, and 26 species for the Ganja-Gazakh region. During research, the representatives of families Carabidae, Chrysomelidae and Scarabaeidae were most common.

According to the frequency of occurrence 3 were dominant.



## EFFECT OF OZONE-AIR MIXTURE ON COMMON BUNT INFECTION OF WINTER WHEAT VARIETIES

S.M.MAMMADOVA<sup>1-3</sup>, T.I. NIZAMOV<sup>2</sup>, A.I. ISAEV<sup>2</sup>, E.R. IBRAHIMOV<sup>3</sup>

<sup>1</sup>ANAS Genetic Resources Institute;

<sup>2</sup>National Aviation Academy;

<sup>3</sup>MA Research Institute of Crop Husbandry, Baku, Azerbaijan,

E-mail: sevka\_m@yahoo.com

Effectiveness of treatment of an ozone-air mixture to common bunt infection on local winter bread wheat varieties Markhal and Girmizy gul-1 was studied in artificially inoculated with a different mixture of isolates from different region of Azerbaijan field trials in the years 2018 and 2019. In trials with common bunt, seeds of each experimental series were inoculated and treated with different regimes of ozone-air mixture - 5000 ppm x 20 min. (11,5 mg x 20 min.) - 15000 ppm x 20 min. (34,5 mg x 20 min.). It was revealed that tested regimes showed resistant and intermediate reaction to the disease and the variant with ozone dose 10000 ppm, 20 min. were showed high resistance to the infection.

The sowing indicators of seeds of Markhal were changed significantly, in the experimental variants compared with the control, the viability was constituted - 61,0% and compared to control (41,3%) increased by 32,3%, germination reached its maximum value (96,8%) and compared to control (90,8%) increased by 6,2 %. A similar result was obtained at Girmizy gul-1, where control was constituted 44,4 and 89,9 %, the viability and germination increased by 28,7 and 8,1%, was constituted 62,3 and 97,8 % in the Inoculation + Ozone High variant.

In this variant, the number of plants and their height were stably higher than in the control. Resistance to common bunt of the tested varieties at high regimes of ozone air mixture was confirmed.

**Keywords:** wheat, plant, seed, disease, Common bunt, infection, pre-sowing treatment, ozone-air mixture.



ხორბლის წარმოება საქართველოში და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება

გ. მარგველაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

თბილისი, საქართველო

E-mail: [gogolamargvelashvili@yahoo.com](mailto:gogolamargvelashvili@yahoo.com)

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელი დონე სასურსათო უსაფრთხოების სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს და კვლავ უცხო ქვეყნებზეა დამოკიდებული

ჩვენი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება. ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების პირველი განსაკუთრებული და შეუცვლელი ფაქტორი ხორბლის წარმოების მაჩვენებელია.

მსოფლიოში ცნობილი ხორბლის 27 სახეობიდან საქართველოში 14 სახეობა გვხვდება, აქედან 5 ენდემურია - მახა, ზანდური, ჩელტა ზანდური, ქართული ასლი და დიკა. ამით დადასტურებულია, რომ საქართველო ხორბლის კულტურის წარმოშობის პირველადი კერაა. ხორბლის უნიკალური ეროვნული ჯიშები, ეს ცოცხალი მემკვიდრეობა, რომელიც გადმოგვცა წინაპრებისგან ითვლება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გარანტიად.

სამწუხაროდ, ასეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში ხორბლის კულტურას არ ექცევა სათანადო ყურადღება - ნათესი ფართობი 50-60 ათას ჰექტრამდე შემცირებულია. ქვეყანას აქვს იმის რესურსი, რომ ადგილობრივი წარმოებით დაიკმაყოფილოს მარცვალზე მოთხოვნილება და ამ დროს, ყოველწლიურად, მოსახლეობის გამოსაკვებად 180-230 მილიონი დოლარის ხორბლის მარცვლისა და ფქვილის იმპორტს აწარმოებს. ასეთ პირობებში, ძნელი იქნება მოსალოდნელი საგანგებო და კრიზისული სიტუაციების შემთხვევაში ჩვენმა ქვეყანამ მოახერხოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სასურსათო უსაფრთხოების მეორე განსაკუთრებული და შეუცვლელი ფაქტორი ნიადაგია. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწები ძირითადად დანაწევრებულია და არ გამოირჩევა ნაყოფიერებით, რაც აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას და ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესებას. საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა უმრავლესობას მცირე ფერმერები შეადგენენ, რომლებსაც ამ პირობებში ძალიან მცირე წვლილი შეაქვთ ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფაში.

ჩვენი ქვეყნის მცირემიწიანობას ისიც ემატება, რომ მნიშვნელოვანი ფართობები უჭირავს დეგრადირებულ ნიადაგებს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 35-40%-ს შეადგენს.

1990 წელთან შედარებით, როცა ნათესი ფართობი 701,9 ათასი ჰა იყო, 494,8 ათასი ჰექტრით არის შემცირებული ნათესი ფართობი 2018 წელს. ქვეყანა, რომელიც სურსათის 80%-ის იმპორტს ეწევა სულ მცირე 300 -350 ათასი ჰექტარი მიწა მიტოვებული, დაუმუშავებელი, დაუთესავი და გაუდაზნოების საფრთხის ქვეშ მყოფია.

სტატისტიკა გვამღევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ საქართველოში შესაძლებელია, მივიღოთ ხორბლის ის რაოდენობა, რომ არ დაგვჭირდეს მისი იმპორტი.

ზემოთ აღნიშნული 300 -350 ათასი ჰექტრის გაკულტურება, სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება, ნიადაგდაცვითი და რესურსდამზოგი მიწათმოქმედების დანერგვა, მაღალმოსავლიანი სელექციური ჯიშების გამოყენების პირობებში სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად წარმატებით გადაწყვეტს ადგილობრივი წარმოების ხორბლით ქვეყნის დაკმაყოფილებას, რაც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მყარი გარანტიაა.

## **WHEAT PRODUCTION IN GEORGIA AND FOOD SECURITY OF THE COUNTRY.**

**Gogola Margvelashvili**

**Georgian Academy of Agricultural Sciences., Tbilisi, Georgia.**

E-mail: [gogolamargvelashvili@yahoo.com](mailto:gogolamargvelashvili@yahoo.com)

The present level of agriculture development in Georgia does not meet the food security standard and the national food security is again dependent on foreign countries.

**The first priority and irreplaceable factor of food security in a country is the wheat yield indicator.**

Out of 27 wheat varieties known in the world 14 are found in Georgia, of which 5 are endemics – Makha, Zanduri, Chelta Zanduri, Georgan Asli, and Dika. It is evidence that Georgia is the primary center of wheat crop origin. The unique national varieties - the living heritage inherited from our ancestors - are considered a guarantee of national food security.

Regrettably, wheat lacks the deserved attention of the country with such traditions – the area sown to wheat has decreased up to 50-60 thousand hectares.

The country has the potential to meet demand for wheat by local production. However, to feed its population Georgia annually imports USD 180-230 million-worth wheat and flour. Under such conditions, it is hardly expected that Georgia could ensure national food security in the case of emergencies and critical situations.

**The second priority and irreplaceable factor of food security is soil.**

In Georgia, agricultural land is mainly parceled and is not notable for fertility, which interferes with the development of agriculture and improvement of food security situation in the country. The majority of those engaged in agriculture of Georgia are smallholder farmers, whose contribution to the food full-sufficiency if the country is rather small

The shortage of arable land in the country is further added by a great share in it of degraded soils, accounting for 35-40% of the cropland.

As compared with 1990, when land under crop made 701.9 thousand ha, in 2018, the land under crop reduced by 494.8 thousand ha. In the country, which food imports amount to 80%, 300-350 thousand ha of land at least are abandoned, uncultivated, and under the threat of desertification. Statistics allow assuming that Georgia has the potential to produce the sufficient wheat volume and do without its imports.

Amelioration of the above-mentioned 300-350 thousand ha, conduct of the appropriate farming practices, introduction of soil-protection and resource-saving farming under conditions of the use of highly productive breeding varieties will, together with other goods, successfully handle the problem of the country satisfaction with the wheat of local production, which is a stable guarantee for food security.



**პრეპარატ გაუჩო პლიუსის გამოცდის შედეგები ხორბლის ნათესებში**

**მ. მაჭავარიანი<sup>1</sup>, ე. ორჯონიკიძე<sup>2</sup>, ვ. მეტრეველი<sup>3</sup>**

<sup>1</sup>სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი, საქართველო

<sup>2</sup>სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, საქართველო

<sup>3</sup>სურსათის ეროვნული სააგენტო, ქვემო ქართლის რეგიონალური სამსახური,  
ქვემო ქართლი, საქართველო

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღება მჭიდროდ არის დაკავშირებული მათზე გავრცელებული მავნე ორგანიზმების მიმართ ეფექტური, მეცნიერულად დასაბუთებული ბრძოლის ღონისძიებების შემუშავებასა და ჩატარებასთან. დღეისათვის მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ძირითადად ქიმიური ნაერთები- პესტიციდები გამოიყენება. ისინი საიმედოდ იცავენ მოსავალს მავნე მწერების, მცენარეთა დაავადებებისა და სარეველებისაგან, ხელმისაწვდომია და გამოსაყენებლად ადვილი; ამავე დროს, მათი გამოყენება დაკავშირებულია მთელ რიგ უარყოფით მოვლენებთან - ადამიანისა და სხვა თბილისხლიანების მიმართ საშიშროება, გარემოს დაბინძურება, სასარგებლო ორგანიზმებზე

უარყოფითი მოქმედება და სხვა. აქედან გამომდინარე, მცენარეთა დაცვის დარგში მომუშავე სპეციალისტების და მკვლევარების ყურადღება მიპყრობილია იქითკენ, რომ პესტიციდების გამოყენება რაც შეიძლება უსაფრთხო გახდეს. ამ მხრივ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მცენარეთა მავნებელ-დაავადებების მიმართ თესლის შესაწამლი პრეპარატების გამოყენება. ამ შემთხვევაში გაცილებით ნაკლებია ატმოსფეროში მათი გავრცელებისა და გაფანტვის საშიშროება, ასევე შემცირებულია ადამიანის ორგანიზმში მათი მოხვედრისა და მის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის შესაძლებლობა, დაბალია პრეპარატის გამოყენების ხარჯვის ნორმები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ გამოიცადა თესლის შესაწამლი პრეპარატი გაუჩო პლიუსი, რითაც შეიწამლა ხორბლისთესლი თესვის წინ; დადგინდა ამ პრეპარატის გავლენა თესლის აღმოცენების ენერგიასა და ჯეჯილის ზრდაზე, ასევე ხორბალზე გავრცელებული მავნე მწერების მიმართ ეფექტურობა და მოქმედება ხორბლის კვებით ღირებულებაზე. ცდის მონაცემებით, თესლის შესაწამლი პრეპარატი გაუჩო პლიუსი ზრდის თესლის აღმოცენების ენერგიას და ხელს უწყობს ჯეჯილის ნორმალურ ზრდას; ამასთან, იგი მაღალეფექტურია ხორბალზე გავრცელებული მავნე მწერების მიმართ (პურის ბზუალას, მავნე კუსებურას, ბუგრების წინააღმდეგ ამ პრეპარატის ეფექტურობა 95-97%-ს შეადგენს); აუმჯობესებს ხორბლის კვებით ღირებულებას - იზრდება წებოვარას, მინისებურობის, ცილების და შაქრების შემცველობა ხორბალში (9,5-10,7 %-ით), რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს პურის ცხობის პროცესისა და მისი კვებითი ღირებულებისათვის.

## TESTING RESULTS FOR GAUCHO PLUS PREPARATION IN WHEAT CROPS

**Machavariani Mariam<sup>1</sup>, Orjonikidze Esma<sup>2</sup>, Metreveli Vakhtangi<sup>3</sup>**

<sup>1</sup>LEPL Scientific-Research Center of Agriculture, Tbilisi, Georgia

<sup>2</sup>Georgian Academy of Agricultural Sciences, Tbilisi, Georgia

<sup>3</sup>National Food Agency, Kvemo Kartli Regional Office, Kvemo Kartli, Georgia

High crop yields are closely linked to development and implementation of effective, scientifically valid pest control measures. At present, mainly chemical compounds - pesticides are used for reliable protection of crops against harmful insects, plant diseases and weeds. They are readily available and easy to use, while also their use is linked to a number of adverse effects, such as hazard to humans and other warm-blooded species, environmental pollution, negative impact on beneficial organisms, etc. Therefore, attention of the specialists and researchers working in the field of plant protection is focused on making pesticide application as safe as possible. One of the important trends in this regard is application of seed disinfectants against plant pests and diseases. In this case, the hazard of their spreading and scattering in the atmosphere is considerably smaller, the likelihood of their ingress and adverse effects on the human body is reduced, and consumption rates of the preparation are low.

Based on the above, seed disinfectant Gaucho Plus was tested by us by applying it to wheat seeds before sowing; the effect of the preparation on the energy of germination and growth of grain shoots, as well as its effectiveness against harmful insects and impact on the nutritional value of wheat. According to the testing data, seed disinfectant Gaucho Plus increases the energy of germination and promotes normal growth of grain shoots; moreover, it is highly effective against harmful insects affecting wheat (efficacy of this preparation against ground beetle, corn bug, and aphids is 95-97%); improves nutritional value of wheat - gluten, vitreousness, proteins and sugar content in wheat increases (9.5-10.7%), which is of great importance for the baking process and nutritional value of bread.



## საშემოდგომო ხორბლის თესვის ვადები და ზონირება გლობალური დათბობის პირობებში

მ. მელაძე, გ. მელაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო,

E-mail: [meladzem@gmail.com](mailto:meladzem@gmail.com) [meladze.agromet@gmail.com](mailto:meladze.agromet@gmail.com)

კლიმატის გლობალური ცვლილება მეტად საყურადღებო პრობლემა გახდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაც მოიცვა. გამოკვლევებით დადგენილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურამ საშუალოდ 0.2-0.5°C-ით მოიმატა. აღნიშნული ტემპერატურების მატების ტენდენციამ, შესაძლებელია 2040-2050 წლებისათვის მიაღწიოს 1-2°C და მეტს. ამიტომ, აუცილებელია გავითვალისწინოთ მითითებული ტემპერატურების მიხედვით, საშემოდგომო ხორბლის კულტურის თესვის ვადების და გავრცელების აგროკლიმატური ზონის ცვლილება. ტემპერატურის მატების ტენდენციიდან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოში, სადაც ტემპერატურის მატება დაიკვირვება ოდნავ ნაკლები, აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, შემუშავებული სცენარის მიხედვით ვითვალისწინებთ ტემპერატურის 1°C-ით მატებას, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსთვის 2°C-ით მატებას. შედგენილი იქნა რეგრესიის განტოლებები, საიდანაც განისაზღვრება საშემოდგომო ხორბლის თესვის ოპტიმალური ვადები. მოცემული განტოლებებით თესვის ოპტიმალური ვადების დადგენა აგრარული სექტორის მუშაკებს და ფერმერებს დაეხმარება გარანტირებული მოსავლის მიღებაში.

ზემოაღნიშნული სცენარების შესაბამისად, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში საშემოდგომო ხორბლის კულტურის გავრცელებისათვის შედგენილი იქნა რეგრესიის განტოლებები და განისაზღვრა აქტიურ ტემპერატურათა ჯამები (>10°C). აღმოჩნდა, რომ სცენარით ტემპერატურის 1°C-ით მატების შემთხვევაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი იზრდება საშუალოდ 220-250°C-ით, ხოლო 2°C-ით მატებისას 440-480°C-ით. საშემოდგომო ხორბლის კულტურის გავრცელების ტერიტორია გაფართოვდა ვერტიკალური ზონალობის ხარჯზე. დასავლეთ საქართველოში გავრცელების ზონამ არსებული (საბაზისო) გავრცელების ზონასთან შედარებით აიწია მაღლა, საშუალოდ 170-200 მეტრით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 350-400 მეტრით. მოცემული სცენარის მიხედვით, გლობალური დათბობა (2040-2050 წლებამდე) საშემოდგომო ხორბლის გავრცელების ზონაში, გავლენას ვერ მოახდენს მოცემული კულტურის ზრდა-განვითარებაზე, თუ ტემპერატურის მატება არ გადააჭარბებს აღნიშნული სცენარით გათვალისწინებულ ტემპერატურებს.

## SOWING TERMS AND ZONING OF WINTER WHEAT UNDER GLOBAL WARMING

**Maia Meladze, Giorgi Meladze**


Institute of Hydrometeorology at the Georgian Technical University, Tbilisi, Georgia E-mail:

E-mail: [meladzem@gmail.com](mailto:meladzem@gmail.com) [meladze.agromet@gmail.com](mailto:meladze.agromet@gmail.com)



The global climate change has become a very urgent problem in many countries. The climate change has affected the territory of Georgia, too. The studies prove that the air temperature in Georgia increased by 0.2-0.5°C on average. As a result of such a trend, the temperature increase may reach 1-2°C or even more by 2040-2050. Therefore, depending on the mentioned air temperatures, it is necessary to consider the sowing terms and change of the agroclimatic zone of distribution of winter wheat. Following the trend of the temperature increase, we take 1°C increase for Western Georgia with less temperature increase compared with Eastern Georgia, and we take 2°C temperature increase for Eastern Georgia by considering the designed scenario. Regression equations, which determine the optimum sowing terms of winter wheat are compiled. Determination of optimal terms of sowing by these equations will help agricultural sector workers and farmers in obtaining guaranteed harvest.

In accordance with the above-mentioned scenarios, in order to distribution of winter wheat in western and eastern Georgia the regression equations are compiled and the sums of active temperatures ( $>10^{\circ}$ ) was calculated. It turned out that in case of 1°C increase in air temperature according to the scenario, the sum of active temperatures will increase by 220-250°C on average, and it will increase by 440-480°C in case of a 2°C temperature increase. The area of distribution of winter wheat has expanded at the expense of vertical zoning. The area of distribution in Western Georgia as compared to the existing (basic) area of distribution has risen by 170-200 m on average, and by 350-400 m in Eastern Georgia. Increase in temperature over the area of distribution of the winter wheat under the scenario, the global warming (before 2040-2050) will not affect the growth or vegetation of the given crop, unless the temperature increase exceeds the temperatures values fixed by the said scenario.



ქართული ხორბლის გეორგიკუმის (*T.georgicum* Dek.-*T.palaeo-colchicum* Men.) საფუძველზე მარტივი, რთული და ბევროსული შეჯვარების დროს შეჯვარებადობისა და პირველი თაობის ჰიბრიდების სიცოცხლის უნარიანობის შესწავლის შედეგები

ნ. მერაბიშვილი<sup>1</sup>, მ. მერაბიშვილი<sup>2</sup>

1.საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

2.სართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

Email: [n.merabishvili@agruni.edu.ge](mailto:n.merabishvili@agruni.edu.ge)

ჩატარებული მრავალმხრივი გამოკვლევების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ ხორბლის (*Triticum*) გვარში სელექციური მუშაობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული შესაჯვარებლად შერჩეულ სახეობათა შეჯვარებადობაზე და მიღებული ჰიბრიდული მცენარის სიცოცხლის უნარიანობაზე.

საქართველოს ენდემური ხორბლის სახეობის გეორგიკუმის-კოლხური ასლის (*T.georgicum* Dek.- *T.palaeo-colchicum* Men.), საქართველოს რბილი ხორბლის (ახალციხის წითელი დოლის პური, დოლის პური 35-4, კორბოულის დოლის პური.) აბორიგენულ შიჯ-პოპულაციებთან და ქართული ენდემური ხორბლის პერსიკუმის-ქართლიკუმის- დიკას (*T.cartticum* Nevski-*T.persicum* vav.) სახესხვაობებთან (თეთრი დიკა -var. *stramineum*, წითელი დიკა- var.*zubicinosum*, შავი დიკა- var *fulcinosum*) შეჯვარებებით დადგინდა, რომ ხორბალ გეორგიკუმის 28 და 42 ქრომოსომიან კულტურულ სახეობებთან რეციპროკული შეჯვარება იძლევა საკმაოდ მაღალი დონის ფერტილურ ჰიბრიდებს. ჰიბრიდული მარცვლის გამონასკვის პროცენტული ოდენობა დამოკიდებულია მდედრობით

ფორმაზე, რბილი ხორბლის ჯიშების ეკოლოგიურ გენეტიკურ თვისებებზე, მშობელი ფორმების წარმოშობაზე.

გამონასკვის პროცენტი დაბალი იყო მაშინ, როცა მამაწარმოებლად გამოყენებული იყო ხორბალი გეორგიკუმი, ხოლო ჰიბრიდული მარცვალი ამოვსებული იყო მაშინ, როცა ქრომოსომებით მეტრიცხვიანი სახეობა მდედრობით ფორმადაა გამოყენებული.

გამონასკვლი ჰიბრიდული მარცვლების რაოდენობის მიხედვით რთული შეჯვარების შემთხვევაში აღნიშნული ნიშანი გაცილებით მეტია ვიდრე მარტივი შეჯვარებისას, ხოლო ერთჯერადი ბეკროსული შეჯვარებისას ეს ნიშანი რთულ შეჯვარებასთან შედარებით უფრო მაღალია.

ჰიბრიდული მარცვლების სიცოცხლისუნარიანობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული ფორმები გენეტიკურად შეთავსებადი არიან. დადგენილი იქნა, რომ შეჯვარების მაღალი დონის შემთხვევაში მცირდება მიღებული ჰიბრიდული მარცვლების სიცოცხლისუნარიანობა და პირიქით.

მაღალი სიცოცხლისუნარიანი ჰიბრიდები მიიღება, მაშინ როდესაც ქართული ხორბალი გეორგიკუმი გამოყენებულია დამამტვერიანებლად, ხოლო დედა ფორმად გამოყენებულია რბილი ხორბალი, ან ხორბალი დიკა - ქართლიკუმი, რთული შეჯვარებისას საანალიზო ნიშანი მაღალი იყო მაშინ როცა მდედრობით ფორმად გამოყენებული იყო რბილი ხორბალი. მარტივ შეჯვარებასთან შედარებით ბეკროსული შეჯვარებით მიღებული ჰიბრიდული მარცვალი უფრო მეტად სიცოცხლისუნარიანია, ხოლო თავის მხრივ, ბეკროსის ჯერადობის მატება იწვევს ჰიბრიდული მარცვლების სიცოცხლისუნარიანობის ზრდას.

**RESULTS OF LIFE CAPACITY BASED ON GEORGIAN WHEAT GEORGICUM  
(T. GEORGICUM DEK. - T. PALAEO-COLCHICUM MEN.)  
EASILY HYBRIDIZE MULTIPLE AND BACKCROSS WITH THE FIRST GENERATION.**

**Nodar Merabishvili<sup>1</sup>, Mariam Merabishvili<sup>2</sup>**

<sup>1</sup>Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

<sup>2</sup>Agricultural University of Georgia, Tbilisi, Georgia

Email: [n.merabishvili@agruni.edu.ge](mailto:n.merabishvili@agruni.edu.ge)

Based on multifunctional analyses, it is easily visible, that the selection of the family (Triticum) wheat and it's working is very successfully. Success is strongly belonging to the species which was chosen for the cross-breeding and hybrid plant life capacity.

By the cross-breeding of Georgian endemic wheat T.georgicum Dek.- T.palaeo-colchicum Men. with Georgia's soft wheat (Akhaltsikhis Tsiteli Dolis Puri, Dolis Puri 35-4, Korbouli Dolis Puri). Aboriginal breed-populations and Georgian endemic wheat T.cartticum Nevski-T.persicum vav- Dika with diversity (White Dika-var.stramineum, Red Dika-var.zubicinosum, Black Dika-var.fulcinosum). Based on the cross-breeding find out, that wheat Georgicum 28 and 42 chromosomes cross-breeding gives pretty high level fertile hybrids.

The percentage of hybrid seed lines depends on the form of females, ecological genetic properties of soft wheat varieties and origin of parental forms. The percentage of the ovary was under the low range when was used wheat Georgicum and hybrid grain was full of chromosomes with multiple species as a female form.



According to the quantity of ovary hybrid grains, in case of backcross this sign, is more to compare to hybridization regarding one times hybridization, this sign is higher to compare to backcrossing process.

The study of life expectancy of hybrid grains showed, these forms are genetically compatible. It has been established that in case of higher levels of hybrid cereals it reduces the viability of hybrid grains and vice versa.

High viable hybrids are made while Georgian wheat *Georgicum* used as a pollinator. Soft wheat is used as a mother form or wheat *Dika-Carthlicum* in case of backcross, the sign of the analyze was high when as a mother form was used soft wheat to compare to hybridization backcrossing hybrid grains are more viable on the other hand to increase the quantity of the viability of hybrid grains are increasing.



## საქართველოს ენდემური ხორბლის სახეობის გეორგიკუმის-კოლხური ასლის (*T.georgicum* Dek.-*T.palaeo-colchicum* Men.) წარმოშობის მოკლე ისტორია და მისი მორფოლოგიურ-ბიოლოგიური დახასიათება

### ნ. მერაბიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

E-mail: [n.merabishvili@agruni.edu.ge](mailto:n.merabishvili@agruni.edu.ge)

საქართველოს ტერიტორიაზე აღწერილი და რეგისტრირებულია ხორბლის 14 ბუნებრივი სახეობა, რომელთაგან- 5 საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობაა: გეორგიკუმი -(*T.georgicum* Dek.); მახა (*T.macha* Dek.etMen.); ქართლიკუმი-პერსიკუმი-დიკა (*T.cartlicum* Nevskiy-*T.persicum* Vav.- *T.dika* Sicharulidze ); ტიმოფეევი-ჩელტა ზანდური (*T.timopheevii* Zhuk.) და ჰეკსაპლოიდური ზანდური (*T.zukovskiy* Men. et Eriz), რომლებიც მსოფლიო ხორბლის სახეობათა -18,5%-ს შეადგენს.

ხორბალი გეორგიკუმი-კოლხური ასლი-ქართული ასლი (*T.georgicum* Dek.- *T. Palaeo-colchicum* Men. *T. karamyshevii* Nevskiy) ( $2n=28$ ), გენომური ფორმულა  $A^uA^uBB$ , დასავლეთ საქართველოს (რაჭა-ლეჩხუმი) ვიწრო ენდემური ხორბალია. პირველად იგი გ. სუპატაშვილმა აღწერა (1929 წ.) და გამოყო *T.dicoccum*-ის (ასლი) სახესხვაობად *var. chvamlicum* supat. შემდგომში კ. ფლიაკსბერგერმა (1930, 1939) იგი მიიჩნია ჯერ ასლის ქვესახეობად, ხოლო მოგვიანებით მიაკუთვნა ხორბალ მახას ქვესახეობას. ლ. დეკაპრევიჩმა და გ. მენაბდემ (1932) მიიჩნიეს ასლის ქვესახეობად - *T. dicoccum* ssp. *georgicum* Dekopr. et Men., შემდგომ იგი გამოყეს ცალკე სახეობად- ლ. დეკაპრელევიჩმა *T. georgicum* Dekarp.-ის, გ. მენაბდემ - *T. Palaeo-colchicum* Men.-ის სახელწოდებით . შედგება ორი სახესხვაობისაგან:

1 *var. chvamlicum* Supat. - თავთავი ფხიანია, შეუბუსავი, თეთრი და წარმოადგენს ამ სახეობის ძირითად სახესხვაობას.

2. *var. rubidum* Men. - თავთავი ფხიანია, შეუბუსავი, წითელი - წარმოადგენს იშვიათ მინარევს.

გ. მენაბდეს მიხედვით კოლხური ასლი წარმოიშვა მახასაგან. მ. იაკუბცინერის და გ. კანდელაკის მოსაზრებით, ქართულმა ასლმა მისცა საწყისი მახას.

ხორბალ გეორგიკუმს აქვს მაღალი და ამოვსებული ღერო, ფართე და შებუსული ფოთლები, ბრტყელი და მკვრივი თავთავი, თავთავის ღერაკი ზიგზაგისებურია ვიწრო მონაჭდეებით. თავთავის თავთუნის კილი ყვავილის კილთან შედარებით 1/3-ით მოკლეა. ფხები შემოკლებული აქვს. თავთავის ფერი ყვავილობის ფაზაში ნაცრისფერ-მწვანეა (Saccardo ფერების შკალის მიხედვით მიეკუთვნება glankus-ს).

იგი ხასიათდება ნაცარა რასისადმი, ჟანგა სოკოებისადმი და გუდაფშუტისადმი გამძლეობით. მის მარცვალში 19%-ზე მეტი ცილაა და შეუნაცვლებელი ამინომჟავა ლიზინი (2,91%) მაღალი ხარისხის წებოგვარათი.

მის გენოტიპშია ძალიან იშვიათი ტიპის ნეკროზის Ne1-ის და ჰიბრიდული ქონდარობის D<sub>2</sub>-ის განმაპირობებელი გენები.

ხორბლის სელექციის პრაქტიკაში ჩვენს მიერ პირველად გეორგიკუმის გენოტიპში გამოვლენილი იქნა მოკლედეროიანობის, თავთავის კომპაქტურობის და თავკომზალობის, ბრტყელთავთავიანობის, ოთხკუთხა თავთავიანობის, მრავალყვავილიანობისა და ოვალურთავთუნიანობის განმაპირობებელი გენები.

## **SHORT HISTORY OF ESTABLISHMENT OF GEORGIAN ENDEMIC TYPE OF WHEAT GEORGICUM-KOLKHURI ASLI (T.GEORGICUM DEK.-T.PALAEO-COLCHIKUM MEN.) AND IT'S MORPHOLOGICAL-BIOLOGICAL CHARACTERIZATION**

**Nodar Merabishvili**

Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

E-mail: [n.merabishvili@agruni.edu.ge](mailto:n.merabishvili@agruni.edu.ge)

